| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდღველის სააგენტოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი



# „ივერია"

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9), ბ) ლ. ბ. ხიდღველის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი ღ. სარაჯიშვილისა. ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ"

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ტფილისი, 18 ნოემბერი

ჩვენი ხალხი წოდებისა და მდგომარეობის განურჩევლად თან-და-თან ეჩვევა კითხვასა და მწერლობასა. მართლადაც, ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ყველანი ჰგრძნობენ კითხვის, მწერლობის მნიშვნელობას; ისინიც-კი, ვისაც წინად შეეძლო უსწავლელად ეცხოვრნა, დღეს იძულებულნი არიან თავიანთ გონებასა და ძალას მიჰმართონ და ამიტომაც ჰგრძნობენ, რომ უსწავლა-ცოდნოდ ერთს ფეხის ნაბიჯსაც ვერ წასდგამენ წინა. წვრილი აზნაურობაც, რასაც უნდა მოჰკიდოს ხელი, მიწის-მოქმედებას თუ ვაჭრობას, ყოველგან ჰგრძნობს, რომ უსწავლელად ხეირი არ ექმნება არავითარს საქმეში. გლეხკაცმაც, მას შემდეგ, რაც მიენიჭა ზოგიერთი უფლებანი, შეიგნო, რომ სწავლა ცხოვრებაში გამოსაყენებელია. გარდა ამისა დღევანდელის ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭიროა თვალ-ხილულობა, ქვეყნიერობა ისე მოეწყო, რომ ადამიანი იძულებულია მარტო თავის საკუთარს ქერქში არ გამოეხვიოს და თვალ-ყური ადევნოს იმას, რაიცა ირგვლივ ტრიალებს. აი, ეს გარემოება ყველასათვის აშკარაა, მაგრამ განონიერი მოთხოვნილება მხოლოდ მოთხოვნილებად რჩება. უმთავრესი სახსარი სწავლა-განათლებისა სკოლაა, რომელიც ადამიანს აძლევს სისტემატიურს სწავლა-ცოდნას, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ყველას, სინათლის მეძიებელთ, არ შეუძლიან სკოლას მიჰმართოს; მართლადაც ხომ წარმოუდგენელია, რომ ყველა, დიდი და პატარა, მოხუცი და ყმაწვილი, სკოლებში მოთავსდნენ და დაიკმაყოფილონ სწავლისა და ცოდნის წყურვილი.

საყოველთაო ჩვეულებრივი მწერლობაც ვერ დააკმაყოფილებს ამ წყურვილს, რადგანაც ამ ჩვეულებრივს მწერლობას არ შეუძლიან ყველა ხარისხის ცოდნის კაცს გაწვდეს.

აი, ამის შესავსებლად, რისიც შევსება სკოლას და ჩვეულებრივს მწერლობას არ ძალ-უძს, არსებობს სხვათა შორის სახალხო მწერლობა, რომელსაც საგნადა აქვს გაუნათლებელ, მდაბიო ხალხის გრძნობა-გონება ასაზრდოვოს და ხალხს მიაწოდოს ყოველ გვარი საჭირო და სასარგებლო საკითხავი. ყველგან, სადაც მომეტებულს ყურადღებას აქცევენ ხალხის გრძნობა-გონების გაწრთვნას და გახსნილობას, სახალხო მწერლობას დიდს საპატიო ადგილს უთმობენ საზოგადოდ მწერლობაში. ბეჭდავენ ხალხისათვის საკითხავად ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს და სხვ. და მდაბიო ხალხიც ძლიერ ფხიზლად და დიდის სიყვარულით ეპყრობა მწერლობასა.

ეს საუბარი იმისთვის გავმართეთ, რომ მკითხველს ვუჩვენოთ, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენში სახალხო მწერლობა. როგორც ვთქვით, კითხვის მოთხოვნილება ყოველგან საგრძნობელია, მაგრამ რიგიანი სახალხო მწერლობა-კი არა გვაქვს, ასე რომ სურვილი კითხვისა დაუკმაყოფილებელი რჩება. რომ ჩვენი აზრი არც გაზვიადებულია და არც უსაფუძვლოა, ამის საბუთი ის არის, რომ ქართულ სახალხო მწერლობაში იშვიათად შეხვდებით რიგიანად დაწერილს სახალხო წიგნებს. სამწუხაროდ, ჩვენი გამომცემლები, როცა წიგნებს ბეჭდავენ, საქმეს ან არ უფიქრდებიან, ან არ ძალ-უძთ ჩაფიქრება და ყოველის მხრით უვარგისს წიგნებს ბეჭდავენ. ამ გვარი წიგნები ჩვენში ხშირად იბეჭდება და მაშასადამე ხალხს ეძლევა უვარგისი საკითხავი. ამ უვარგისს საკითხავს, მართალია, ეტანებიან ჩვენში, მაგრამ იმის გავრცელებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ცუდის ენით არის დაწერილი და ხალხი ხომ, რაც უნდა გონიერი საკითხავი მიაწოდო, არ დაეწაფება, თუ რომ ენა გაუგებარი და ულაზათოა. აი, ამისათვის ჩვენში ვერც გამომცემლები ხეირობენ და ვერც წიგნის მაღაზიები, რომლებიც წლიდგან წლამდე ავსებულნი არიან ერთისა და იმავე უვარგისს წიგნებით. ნეტავი მოხდეს და ამ გარემოებამ დააფიქროს ისინი, ვინც თავიანთის აზრით სახალხო მწერლობის წარმატებას ემსახურებიან.

სამწუხაროდ, ჩვენში სახალხო მწერლობას იშვიათად ეკიდება ისეთი ვინმე, ვისაც შეუძლიან რიგიანად და ბეჯითად ემსახუროს კეთილს საქმეს.

არავის შეუძლიან თავი იმით იმართლოს, ვითომ რიგიანს სახალხო მწერლობას გასავალი არა ექმნება, ვითომ ხალხი ჯერ ისეთს მდგომარეობაშია, რომ მწერლობა იმისთვის მეტი და უსარგებლო რამ არისო.

ა. ხ—ი

## ახალი ამბავი

*** გუშინ თითქმის თორმეტი საათი შუა-დღისა ჰსრულდებოდა, რომ მობძანდა პირდაპირ სიონში ყოვლად უსამღვდელოესი ეგზარხოსი საქართველოსი პალლადი. ორი ჩვენი ეპისკოპოზი არხიმანდრიტებითურთ, წარჩინებულნი გვამნი აქაურის სამღვდელოებისა და დანარჩენი კრებული შემოსილები ელოდნენ ყოვლად უსამღვდელოესის მობძანებას სიონში. თერთმეტის საათიდამ დაიწყო წარჩინებულთა მოხელეთა მოდენამ; რაც ქალაქში მოხელეთა დიდ-კაცობა იყო, თორმეტ საათის ნახევარზედ თითქმის ყველამ თავი მოიყარა სობოროში. სხვათა შორის ბძანდებოდა სობოროში გუბერნიის მარშალი თ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. ხალხიც საკმაოდ ბლომად მოგროვდა.

რამდენიმე წამი აკლდა თორმეტს, როცა ეგზარხოსის ეტლი გაჩერდა სიონის კარების წინ. სამღვდელოება წინ გაეგება სობოროდამ და მერე წამოუძღვა წინ. შემობძანდა თუ არა ეგზარხოსი სობოროში, ეპისკოპოსმა შესაფერი სიტყვა მოახსენა. ყოვლად უსამღვდელოესობამ მოისმინა რა სიტყვა, წამობძანდა და თაყვანი სცა მუხლ-მოდრეკით ღვთის-შობლის და წმინდა ნინოს ხატსა. გადახდილ იქმნა პარაკლისი და მას შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესობამ ბძანა სიტყვა. მთელი ოცი წუთი ინება ქადაგება.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ ხელთ არა გვაქვს მისი ნაბძანები სიტყვა, რომ

## ფელეტონი

### საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

წერილი მეშვიდე

Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности А. А. Цагарели. Выпускъ І-ый съ палеографической таблицей. Санктъ-Петербургъ.

აღნიშნული წიგნი „ცნობანი შესახებ საქართველოს მწერლობის ნაშთებისა" რამდენიმე ხანია რაც მიღებულ იქმნა ტფილისის მაღაზიებში გასაყიდად. ეს ვრცელი თხზულება (204 კაბადონი, შუათანა ფორმატისა) ეკუთვნის პატივცემულ პროფესორს პეტერბურგის უნივერსიტეტისას ა. ა. ცაგარელს. აი შინაარსი ამ პირველ გამოცემისა: ა) შესავალი (52 კაბადონი); ბ) წიგნი სასულიერო შინაარსისანი: თავ. გრუზინსკის, დადიანის, ათონის და სხ. წიგნთ-საცავიდამ; გ) კატალოგი ქართულ ხელ-ნაწერებისა და ძველად დაბეჭდილ წიგნებისა, რომელნიც ეკუთვნიან ათონის მონასტერს და დ) სამი დამატება.

ბ-ნ ცაგარელის თხზულებაში მოიპოვება მრავალი ან აქამდე სრულიად უცნობი, ან მცირედ ცნობილი ფაქტები შესახებ საქართველოს წერილობით ნაშთებისა. იმდენად საყურადღებოა ეს წიგნი ყოველ მხრივ, რომ საჭიროდ ვთვლით მოკლედ ვაცნობოთ მკითხველთ მთელი შინაარსი ამ წიგნისა.

### I

**შესავალი წიგნისა.** საქართველოს მატიანე—ქართლის ცხოვრება—მრავალ წელს საცილობელ საგნად შექმნილა მსწავლულთა შორის. ერთნი მათგანნი, მათ შორის ქართულის ენისა და ლიტერატურის მცოდნენი, ალიარებენ ისტორიულ სინამდვილეს ამ კრებულისას; მეორენი, რომელთაგან ყველაზე უფრო მცოდნენი ძლივს არჩევენ ქართულ ანბანის ასოებსა, პირიქით, უარ-ჰყოფენ იმის ისტორიულ მნიშვნელობას. ეს უკანასკნელნი, უმეცარნი ქართულ ენაში, თავის აზრის დასამტკიცებლად ხელ-მძღვანელობენ ვითომ და მახვილაკ მოსაზრებითა და მოფიქრებითა. ამათ ავიწყდებათ ის გარემოება, რომ უცოდინარობა ფაქტიკურ ცნობათა გამოკვლევის საგანში არ შეიძლება შეიცვალოს არავითარ მოფიქრებითა და ამასთანავე მახვილაკი აზრები თავის თავად, უფაქტიკურო საფუძველით, ყოველთვის არიან ხოლმე არა თუ ჭეშმარიტნი, არამედ არც-კი ჭკვიანურნი. ამ გვარ კაცთა საქციელმა არ ჩაიარა უგავლენოდ მკითხველებზე, რომელთაც თვითონ არ იციოდნენ ქართული ენა და ლიტერატურა. მათმა მსჯელობამ უგავლენოდ არ ჩაიარა ქართულ მეცნიერებისათვისაც, რომელმაც ეხლახან მოიკიდა ფეხი ევროპის ნიადაგზე... მცირეაო ქართული ისტორიული ნაშთნი, მოსაზრეობენ ზოგიერთნი ხსენებულ კაცთა მიხედვისამებრ. მაშასადამე, კულტურაც სუსტი ყოფილა ამ ქვეყანაში, და თუ ეს ასეა, ღირს შესწავლა ამ გვარის ხალხის წარსულისაო?!. ასეთს ერთ მხრივს, არაფერზე დამყარებულს და არც არაფრით დამტკიცებულს მსჯელობას მოაქვს თავისი ნაყოფი, რომელსაც შეუძლიან იქონიოს სამწუხარო და საზარალო შედეგი წარმატებისათვის აღმოსავლეთის შესასწავლ ნორჩ დარგისა

უეჭველია, განაგრძობს ბ-ნი ცაგარელი, საქართველოს ისტორიული მწერლობა მდიდარი არ არის ისტორიულ შინაარსის თხზულებებითა, მაგრამ განა ისტორიას შეადგენენ მარტო მატიანენი და ისტორიანი? რა გვეცოდინებოდა, მაგალითად, ჩვენ მისირიაზე, ძველ სპარსეთზე, ასირიაზე ბაბილონზე და სხ., თუ მხედველობაში არ ვიქონიებდით მცირე ისტორიულ და სხ. ნაშთებსა მათ წარსულის ცხოვრებისას, ეთარნიც არიან იეროგლითიურნი და ლურსმურნი წარწერანი, ხუროთ-მოძღვრულნი და მხატვრობითნი ძეგლნი, ნაშთნი საეროთ შენობათა, სახელმწიფო და კერძო სიძველენი? თუმცა დიდი და ტაციტი გარდმოგვცემენ ვრცელ ცნობებს მათ მიერ აღწერილ ეპოქებზე, ბერძენ-რომაელთა მდიდარ და მრავალ-ფერ ცხოვრებასა და კულტურაზე, მაინც რა იქმნებოდა თუ ჩვენ მათ მიერ გარდმოცემულ ცნობებს არ შევავსებდით სხვა გვარ ცნობებითა, შეძენილებითა ლიტერატურიდამ, ხელოვნებიდამ, კერძო და საზოგადო ცხოვრების ნაშთებიდამ და სხ.?

ასეთია ყოფა საქართველოსიც. რაზედაც სდუმან მატიანენი, მაზედ მაღლა ღაღადებენ მისი მდიდარი სასულიერო და სახოცრიელო ლიტერატურანი მე-V საუკუნიდამ, ეპიგრაფიულნი ნუმიზმატიკურნი ძეგლნი მე V—VII საუკუნეთა, ბევრი ათასი ისტორიულ-იურიდიულნი აქტნი (გუჯრები და სიგელები) მე-X საუკ., მრავალნი ეკკლესიურნი და საეროთ საქანდაკო და სამხატვრო ნაშთნი და ამ გვარივე ნაშთნი საეროთ შენობათა და სხვათა.

თუმცა ესეთია ყოფა საქართველოს ლიტერატურისა, მაგრამ იგი ამ მხრივ განმარტოებული არ არის მთელს დედამიწაზე; ამ გვარსავე ყოფაში არის ინდოეთის ლიტერატურაც, მდიდარი სასულიერო და პოეტურ ნაშთებითა,—რომელსაც თითქმის არა აქვს არც ერთი ნამდვილი მატიანე; აგრეთვე ძველი სპარსეთის ლიტერატურა, სადაც ნაციონალური ისტორიული მწერლობა იწყება ისტორიულ-ეპიკურ-პოემით „შაჰ-ნამეთი" მე-X საუკ. ქრისტეს შემდეგ. წინააღმდეგ ამ სამის ქვეყნისა, მათ მეზობელ სომხეთსა ჰყავს სამაგალითო ისტორიკოსნი, მაგრამ თითქმის სრულიად არა აქვს პოეტურნი ნაშთნი.

ასე რომ თუ გინდ საქართველოს სრულიად არა ჰქონდეს წერილობითი ისტორიულნი ნაშთნი, მაინც იმის ისტორიის და კულტურის შესწავლა მშვენივრად შეიძლება, შეიძლება მაშინ, თუ შევაგროვებთ და შევისწავლით არსებულ სასულიერო და საზოცრიელო ნაშთებს ლიტერატურისას, გუჯრებისა და სიგელებისას, ნუმიზმატურ და სხვა გვარ ნაშთა ამა ქვეყანისა.

ჩვენის მკითხველებისათვის გვეუწყებინა. სიტყვამ ყოვლად უსამღვდელოებისამ სასოებით აავსო მსმენელთა გულნი. „მე მოვედიო, ბძანა სხვათა შორის, და ამ კურთხეულ ქვეყანას თან მოვუტანე ლოცვა და კურთხევა. კურთხეულ იქმნას ეს ღვთის-შობლის წილ ხდომილი ქვეყანაო. მე მოვედიო დაუსრულებელი დავასრულო და ნაკლებული გავასწოროვო.“

შემდეგ ამისა წარმოითქვა მრავალ ჟამიერ ხელმწიფე იმპერატორისა, უუმართებულესის სინოდისა, ყოვლად უსამღვდელოესის პალლადისა, მხედრობისა და მართლ-მადიდებელ ქრისტიანებისა. ყოველ ამის გათავების შემდეგ სამღვდელოება და დიდ-კაცობა მივიდა და ემთხვია ჯვარსა და კურთხევა ჩამოართვა ეგზარხოსსა. დაიძრა ხალხიც ჯვარისა და ხელზედ სამთხვევად. ამასობაში ყოვლად უსამღვდელოესობამ მოიწვია კურთხევა ღვთისა საქართველოს ერზედ და მგალობელთა კრებულმა ქართულად დაიგრიალა მრავალ ჟამიერ. ქართულადვე სთქვეს მრავალ ჟამიერ, როცა ჩვენმა ახალმა მამა მთავარმა დალოცა და ღმერთს შეავედრა ტფილისის მცხოვრებნი და ეკკლესიაში მყოფნი.

პირველის ნახევარი იქნებოდა, როცა ყოვლად უსამღვდელოესმა ეგზარხოსმა დააპირა თავის სასახლეში წაბრძანება. აქ გზად ეპისკოპოზს ალექსანდრეს უბძანა: „მე ძალიან მომწონს სიონის სობორო. მშვენიერი ყოფილა. ხშირად ვიქნები მწირველიო“.

*** ტფილისის კინტო-ჯიბგირებს ერთი კიდევ ახალი ხერხი მოუგონიათ ხალხის საცარცვავად. მატარებელის მოსვლის დროს შეგროვდებიან ვაგზალის გამოსასვლელ კარებთანა და ფაიტონებში და დაიწყებს თუ არა ხალხი გამოსვლას ჯგუფ-ჯგუფად, გაერევიან ჯიბის მოსახილავ-მოსაჩხრეკად, თუ შენიშნეს იმისთანა ხამი კაცი, რომელსაც ბევრი არა გაეგება ადგილობრივი. ამისთანას თანაც გაჰყვებიან „წესის ასაგებლად“, ე. ი. ჩასათრევად.

ამ გვარი შემთხვევა სამშაბათს, 17-ს ნოემბერს, მოხდა.

ერთი სოფლელი მოხუცებული მღვდელი გამოვიდა ვაგზალიდამ და მეფაიტონეს ურიგდებოდა წაყვანასა. გაჩნდნენ კინტო-ჯიბგირები და შეატყეს მღვდელსა, რომ ხამიაო. აეკვიატნენ და რომელ ფაიტონთანაც მიდიოდა, ისინიც მაშინვე მიაძახებდენ: ჩვენც მოვდივართ, მამაო, ერთად ჩავსხდეთ, უფრო ცოტა დაგვეხარჯებაო.

მღვდელმა არ იკისრა მათთან ერთად წასვლა. როცა თავი მოაბეზრეს, უპასუხა: თქვენ რა ჩემი მგზავრები ხართ, ჩემი გზა არ იცით და კვალიო.

— ეა, მამაო, რად ჯავრობ, განა უცხონი ვართ? ერთმა ხელის მოკიდებაც მოინდომა და მეორემ-კი ჯიბისკენ გააცოცა ხელი, მაგრამ გაფთხილებულმა მღვდელმა გაუგო ჯიბეში ხელის ჩაყოფა და დაიძახა: არიქა, მიშველეთო.

ხმაურობაზე პოლიცია მოვიდა, ხოლო ჯიბგირები დაიმალნენ.

*** ამას წინათ მკითხველებს ვაცნობეთ, რომ სამეურნეო საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის თვით-მართველობას, მილის წყალი იეფ ფასად დაეთმოს ბაღოსნობის სკოლასაო, ე. ი. ვედრო $^{1}/_{30}$ კაპეიკად, სულ დღეში 20 ათასი ვედრო წყალი ბაღის მოსარწყავად შეიდის თთვის განმავლობაშიო.

გაზ. „Кавказъ“-ის სიტყვით, ქალაქის გამგეობას ამ დღეებში განუხილავს ეს თხოვნა და გადუწყვეტია ხსენებულ ფასად აძლიოს წყალი 1.200 მანათისა წელიწადში, ანუ ხსენებული 20 ათასი ვედრო დღეში, ხოლო იმ პირობით, თუ თვით ქალაქს არ გასწვდა მილის წყალი, მაშინ საბჭო მოუსპობს ბაღოსნობის სკოლას წყალის ძლევასა. ეს გარდაწყვეტილება მალე წარდგენილ იქნება საბჭოში.

*** ხაშურის სადგურიდგან სამდურავს გვწერენ იქაურ რკინის გზის გამწესებელზე (нарядчикъ), ბ-ნ ბალდანოვიჩზე. ეს ბატონი თურმე ძლიერ ავის გულისა ბძანდება და ისე ექცევა კონდუქტორებს, როგორც „რეკრუტებს“. უსიამოვნობა და აყალ-მაყალი ხშირია ამასა და კონდუქტორებს შორის უფრო იმიტომ, რომ ხაშურიდგან წამოსული მატარებელზე დაჰნიშნავს ხოლმე კონდუქტორს, როდესაც უკანასკნელი, ვთქვათ, ყვირილაში არის. რასაკვირველია, ჯერ მოუსვლელი კანდუქტორი ვერ გამოცხადდება დანიშნულს დროს; მაშინათვე ბ-ნი ბალდანოვიჩი წარადგენს ხოლმე ჯარიმაზე. კონდუქტორს ართმევენ ჯარიმას, ამაზედ დაიწყება ერთი ვაი-ვაგლახი, სადაც, რასაკვირველია, გამარჯვება ბ-ნ ბ—ჩსა რჩება. ამ ბატონზე ბევრჯელ იჩივლეს, მაგრამ აქამდის არა ეშველათ-რა კონდუქტორებსა.

*** ახალციხიდამ: ეს მესამე კვირა მოდის, რაც ახალციხელები დაგვატკბო ნოტებზე გალობამ წმინდა მარინეს ეკკლესიაში. სწორედ რომ მადლობის ღირსია ამის მოთავე და ლოტბარი ბ-ნი გ. ჯინჭველაძე, რომელმაც, თანაშეწევნით სხვა მასწავლებელთა, გაგვაგონა ახალციხელებს კარბელაშვილის ეკკლესიური გალობა.

*** იქიდამვე: როგორც შევიტყეთ, აქაური ქართველები, მაზრის უფროსის მეთაურობით, აპირებენ რამდენსამე წარმოდგენას ახალციხის საქალებო სკოლის სასარგებლოდ. ვისურვებთ, რომ ეს აზრი მალე დააბოლოვონ, რადგანაც სკოლა ძალიან საჭიროებს.

*** ჩვენი კორრესპონდენტი საკვირველს ამბავსა გვწერს მალაკნების ცხოვრებაზედ შულავერიდგან. ამ ორის წლის წინად შულავერში მალაკნებს ცხენი დაჰკარგვიათ. ქურდობაში ეჭვი აუღიათ ერთს მოლასა და კიდევ სხვა თათარზე. დაუჭერიათ ეს ორი კაცი და ცივსა და ბნელს ოთახში დაუმწყვდევიათ. შვიდი დღე ასე დამწყვდეული ჰყოლიათ და საშინელი წვალება მიუყენებიათ. ძაღლებთან ერთად ახმევ-აჭმევდნენ თურმე; ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ თათრებს თქვენი ფეინი გადაასხით თავზედაო და ამას გარდა თოკის მუხრუჭი მოეჭირათ ასოზე. ბოლოს ბოქაულს შეეტყო ეს ამბავი, დაპატიმრებულნი გაენთავისუფლებინა და მალაკნები სამართალში მიცემულ იქმნენ. ეხლა ოლქის სასამართლოს განყოფილებას გაურჩევია ეს საქმე და დამნაშავენი სასტიკად დაუსჯია. და განა ეს, ამისთანა ავაზაკური საქმე ორიც სხვა გაურჩევია ოლქის სასამართლოს განყოფილებას და დამნაშავენი აქაც სასტიკად დაუსჯია. ესევე კორრესპონდენტი გვწერს: საქართველოში ბევრი სოფელია ისეთი, რომ სკოლა ძნელად იპოვება და თუ იპოვება, ისიც ყოვლად გაჭირვებულს მდგომარეობაშია. აქ-კი, შულავერში, ერთი დედათა და ერთიც მამათა სკოლა არსებობს. მამათა სკოლაში შეგირდები არ ეტევიან, სახლი პატარაა და ეხლა ორ-სართულიანს სახლს აშენებენ ამ სკოლისათვის. საზოგადოდ, სომხები დიდს მნიშვნელობას აძლევენ სწავლა-განათლებას და ყველანი დიდის სიამოვნებით აბარებენ შვილებს სასწავლებელში.

*** სოფ. ბოლნისიდგან გვატყობინებენ: ბოლნისის დღეობამ მშვენივრად ჩაიარა, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო დღეობას ყოველ მხრიდგან. უბედურება არა მომხდარა რა იმის მეტი, რომ მლოცავებს სომხებს ჩხუბი მოუვიდათ და ორი კაცი დასჭრეს სუბუქად.

*** ბათუმიდამ: გაზ „Нов. Обоз.“-ესა სწერენ, რომ საქალაქო ფულების გაფლანგვის თაობაზე სასტიკადა სწარმოებს გამოძიება. რადგან ამ გაფლანგვაში ბევრს მოხელესა ჰქონია წილი, ამის გამო ბათუმის მომრიგებელი-მოსამართლე ითხოვს, რომ მთელის ბათუმის სამოქალაქო მოხელეთა კრებული მიეცეს სამართალს ხელშიაო.

*** გაზეთს „კავკაზს“ ახალ-ქალაქიდამა სწერენ, რომ 8 ნოემბერს გაიყვანეს სულ 61 ახლად აყვანილი ჯარის-კაცი, ჩააბარეს სამხედრო უფროსებსა და გაგზავნეს, დიდის პატივისცემისა და გამოთხოვების შემდეგ, ახალციხესა.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მომეცით ავადმყოფს კაცს თქვენს გაზეთის შემწეობით მივაწიო ჩემი ხმა, სადაც ჯერ არის.

ამ სამის წლის წინად მე მიმიღო რკინის გზის მოძრაობის უფროსმა კონდუქტორად და გამგზავნა განჯის სადგურზე. მატარებლის გაცილების დროს ჩავვარდი

---

შემდეგ ავტორი მკითხველთ გააცნობს „ცნობათა“ პირველ გამოცემას. ამ გამოცემაში მოყვანილია ცნობები მხოლოდ ლიტერატურის სასულიერო ნაშთებზე და სანამ გაეცნობდეთ ამ გამოცემას, მოჰყავს ცნობებს წინანდელ შრომათა შესახებ, იმ შრომათა, რომელნიც შეიცავენ ცნობებს შესახებ ქართულ წერილობით ნაშთებისაო, ამბობს ავტორი.

საქართველოს ძველს ლიტერატურაში წერილობითი ნაშთნი გვხვდება მრავალ ფერად: ან თვითონ ავტორი, გადამწერელი წიგნის ბოლოსა, თავში, ან ტექსტში აღნიშნავს მის მიერ შედგენილ შრომათა, ანუ წიგნის პატრონი ამ ნაშთებზე წარაწერს ბიბლიოგრაფიულს შენიშვნათა.

პირველი და ვრცელი ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე, გვხვდება ათონის და იერუსალიმის რამდენსამე ცალ ხელნაწერებზე, წმ. ექვთიმესი († 1028); შემდეგ წმ. გიორგი მთა-წმინდელის († 1066) მიერ შედგენილ წმინდათა ცხოვრებაში დასახელებულნი არიან 57 სხვა-და-სხვა გვარნი შრომანი ექვთიმესი. ხშირად შეგვხვდება ხოლმე ნუსხა წმ. გიორგი მთა-წმინდელის და სხვა მამათა შრომანიცა მე-X—XII სს. იოანნე პეტრიწის მიაწერენ აგრეთვე ქართულ წიგნების კატალოგის შედგენასა. შეგვხვდება ხოლმე ბიბლიოგრაფიულნი შენიშვნანი შესახებ წიგნებისა, რომელნიც ეკუთვნიან სხვა-და-სხვა ქართულ მონასტრებსა როგორც საქართველოში, ისე მის გარეშე. ბიბლიოგრაფიულ ცნობებს შეიცავს აგრეთვე უკანასკნელი ტაეპი (1593) ვეფხის-ტყაოსნისა. მასში რუსთაველი გვაუწყებს ცნობებს სამს მის წინა დროში მცხოვრებ მწერლებსა და მათ ნაწერებზე. ძვირფასს ბიბლიოგრაფიულ და ბიოგრაფიულ ცნობებს სხვა-და-სხვა საუკუნის თხუთმეტს მწერლებს ვპოვებთ მე-XVII საუკ. მწერლის მეფე არჩილის „არჩილიანში“. მე-XVIII საუკ. ნახევარში კათოლიკოს ანტონმა I-მა ერთი თავი თავის „წყობილსიტყვაობისა“ დაუთმო ქართულ მწერლებზე ცნობების მოთხრობას. იგი კათოლიკოსი თვითონვე ამბობს, რომ აქ იქნება მოთხრობა 70 მწერალზეო.

საინტერესოა ამასთანავე აღნუსხვა წიგნთა, რომელნიც მეფე ერეკლეს ბრძანებისამებრ დაიბეჭდა ტფილისში წარსულ საუკუნეში 80—90 წწ. მღვდლის კოჟერაშვილის მიერ. ამ წიგნთა რიცხვი იყო 7,400 ცალი. წარსულ საუკუნის დასასრულს თელავის სემინარიის რექტორმა დავით ალექსიშვილმა შეადგინა კატალოგი ქართულის წიგნებისა, რომელნიც მოიპოვებოდნენ მისსავე წიგნთ-საცავში— სულ აღმოჩნდა 200 ცალი. (1770—1780 წწ.) კათოლიკოსმა ანტონმა I-მა მცხეთის საპატრიაქო წიგნთ-საცავში შეჰკრიბა 7,000 ტომი სხვა-და-სხვა გვარ იშვიათ ხელ-ნაწერებისა. იმავე მე-XVIII საუკ. დასასრულს ვენის უნივერსიტეტის პროფესორ ფრანც ალტერმა აღბეჭდა ნუსხა ქართულ ხელ-ნაწერთა და ძველად დაბეჭდილ წიგნთა, რომელნიც იმის დროს ინახებოდენ იქაურ სახელმწიფო წიგნთ-საცავში და ამ გვარსავე საცავში საკათოლიკო მოძღვრებისა რომს.

აკადემიკოსმა ბროსემ 1837 წ. დაბეჭდა ნუსხა ქართულ წიგნებისა თავის ქართულ გრამატიკაში (ფრანგულს ენაზე) და 1838 წ. ამ ნუსხას კიდევ ბევრი წიგნები დაუმატა და აღბეჭდა წიგნში „Catalogue des livres géorgiens tant imprimes que manuscrits, anciens et modernes“. ეს კატალოგი განიყოფება XXI ნაწილად და შესდგება რამდენისამე კატალოგისაგან, რომელნიც უთარგმნია ფრანგულად. 1877 წ. იმავე ბროსემ დაბეჭდა ბიბლიოგრაფიული ცნობანი ქართულ პოეტურ ნაწარმოებზე. დ. ი. ჩუბინაშვილმა თავის მიერ გამოცემულ ვახუშტის ისტორიის სათაურში აღბეჭდა გრძელი ნუსხა ქართულ წერილობითის ნაშთებისა.

1867 წ. ვიქტორ ლანგლუამ პარიჟში დაბეჭდა ფრანგული თარგმანი ათონის მონასტრის ქართულ ხელთ-ნაწერებისა. ეს კატალოგი ცაგარელს ჩაუტანებია ამ გამოცემაში.

არსებობს აგრეთვე გრძელი კატალოგი ქართულ ხელთ-ნაწერებისა და ძველად დაბეჭდილ წიგნებისა აზიის მუზეუმში პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიისა; და მცირე რიცხვი ქართულ ხელ-ნაწერ წიგნებისა მოყვანილია აგრეთვე პეტერბურგის სახალხო წიგნთ-საცავის კატალოგში. ცნობანი ქართულ ხელ-ნაწერებზე გვხვდება ამასთანავე პ. ი. იოსელიანის, დ. ზ. ბაქრაძის ნაწერებშიაც და სხ. ასე რომ ამ ბოლო დრომდე აღმოჩენილ სხვა-და-სხვა გვარ წერილობით ნაშთთა რიცხვი შეადგენს რამდენსამე ათასსა.

ახლა პატივცემული პროფესორი ცაგარელი მოიყვანს ცნობებს იმ ნაშთებზე, რომელნიც აღწერილნი არიან „ცნობათა“ I-ლ გამოცემაში.

I. კოლლექცია ქართულ ხელ-ნაწერ და ძველად დაბეჭდილ წიგნებისა ბრწყინვალე თავ. ი. ვ. გრუზინსკისა, 188 წ. გარდაცვლილი პეტერბურგის საიმპერატორო სახალხო ბიბლიოთეკაში, შესდგება 361 ხელ-ნაწერთაგან მე-X—XIX საუკ., 76 სხვა-და-სხვ. გვარ ოქმთა და ავტოგრაფთაგან მე-XVII—XIX სს., 101 ძველად დაბეჭდილ წიგნთაგან 1709—1820 წწ. და სულ 538 ნომერია.

ამ კოლლექციის შეკრება დაწყებულა საქართველოშივე. ამის შესაკრებად და გასამდიდრებლად ყველაზე მეტი უშრომნია მეფე გიორგი მე-XIII შვილს იოანნეს, საქართველოს მხედრობის ფელდცეიგმეისტერს. სხვათა შორის ამ კოლლექციაში მოიპოვება საკუთარის ხელით დაწერილი მოსაზრება იოანნესი, მირთმეული მამისათვის 1799 წ. ამ „მოსაზრებაში“ მოყვანილია საჭიროება ცვლილების მოხდენისა საქართველოს სამეფოს მართვასა და გამგეობაში. ეს იოანნე ყოფილა ფრიად განათლებული კაცი. მან დასწერა „კალმასობა“, რომელშიაც გამოყვანილია ბერი იონა (ხელაშვილი და არა ხელაძე, როგორც ბრძანებს ბ-ნი ცაგარელი). ეს იონა დაიარება დაბად და სოფლად, აგროვებს მოწყალებას მონასტრებისათვის და თანაც ხალხს ებაასება ფილოსოფიურ და ღვთის-მეტყველურ საგნებზე. „კალმასობის“ გარდა იოანნემ შეადგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი ექვს ნაწილად.

ამ კოლლექციის გამდიდრებისათვის ბევრი ილვაწა აგრეთვე იოანეს მეუღლე ქეთევანმა, ასულმა თავ. ზურაბ წერეთლისამ, და იოანნეს შვილმა გრიგოლმა და შვილის-შვილმა იოანნემ.

ეს კოლლექცია მე თითქმის სულ მთლად გავარჩიე და რიგსა და წესში მოვიყვანეო, განაგრძობს ბ-ნი ცაგარელი. ამ კოლლექციის შეძენით პეტერბურგის სახალხო ბიბლიოთეკას ეხლა ხელში აქვს „ისეთი იშვიათი და მრავალ ნაირი განძი ქართულ წერილობითის ნაშთებისა, რომ ამ მხრივ თუ იგი არ აჭარბებს აქნობამდე ქართულ წიგნების მდიდარ კოლლექციას სამეცნიერო აკადემიის აზიურ მუზეისას, მაინც არ ჩამოუვარდებაო“.

II. დადიანის კოლლექცია გროვდება თან-და-თან სამეგრელოს მთავრების მიერ. ყველაზე გულ-მოდგინე შემკრებელთაგანი ამ ბიბლიოთეკის წიგნებისა იყო უკანასკნელი მთავარი სამეგრელოსი თავ. დავით დადიანი († 1853). იგი იყო ფრიად განათლებული კაცი თავის დროს მიხედვით, ღრმა მცოდნე და დიდი მოტრფიალე ქართულის ენისა და ლიტერატურისა. ამას გვიმტკიცებენ იმის მცნობი კაცები და აგრეთვე მისი საკუთარის ხელით გადაწერილნი შრომანი, რომელთა შესაძენად იგი არ იშურებდა არც დროსა და არც ფულსა. მრავალ ხელ-ნაწერზე იგი საკუთარის ხელით სწერს, ასე ვთქვათ,

მაღლა ტორმაზიდგან გაგოხებს შუა, როდესაც გადავდიოდი ტორმაზის მოსაშორებლად. ეს საშირო იყო მატარებლის საშშვიდობოდ და შემაშინებაც ასე მიბრძანა. დამიფარა ღმერთმა და გადავრჩი სიკვდილს შემთხვევით: ჩავარდნის დროს დავეკიდე იმ ჯაჭვებზე, რომლებითაც გადაბმულნი არიან ვაგონები ერთი მეორეზე. იქიდგან ცოცხალ-მკვდარი ამომათრიეს ობერ-კონდუქტორმა და სადეპოს მოხელემ, რომელნიც იმავე მატარებლით მიდიოდნენ. ეს ამბავი მოხდა მაშინ, როდესაც მატარებელი თავდაღმართში მიდიოდა ძალიან გაქანებული. მთელი დღე თითქმის უგრძნობლად ვიყავი, მაგრამ უღონიობისა გამო არ მომითხოვნია მკურნალის შემწეობა და მატარებლიდგანაც არ გადმოვსულვარ.

მას შემდეგ დამიწყო გვერდებმა და გულმა ტკივილი, იმიტომ-რომ გულით დავეცი ჯაჭვებზედ. ბევრი წამლები მაძლია მკურნალმა, მაგრამ ვერაფერი ვერ მიშველა და ბოლოს მირჩია, რომ ბათუმას ჭაერი მრიელ არგებს გულით ავადმყოფსა, სთხოვე შენს უფროსებს, რომ გადაგიყვანონ ბათუმშიო. მეც ვითხოვე გარდაყვანა არა ერთხელ, არამედ იმდენჯერ, რომ მექესე ნომრის ქაღალდი გავაძვრე ქაღალ გაჯაში. ბოლოს როგორც იყო მიაქციეს ყურადღება ჩემს თხოვნას და გადმომიყვანეს, ხოლო ბათუმში-კი არა, ხაშურში. მოგეხსენებათ, აქაური ჰავა სად ადამიანსაც უშლის აიტანოს და მე ხომ იმ დღიდგან, რაც გადმომიყვანეს, ერთხელ არა ვყოფილვარ კარგად. მარიამობისთვის გასულს საავადმყოფოშიაც ვიწექი და სიკვდილს ძლივს გადავრჩი. უკანასკნელად მითხრეს ექიმებმა, რომ თუ ბათუმში ან ტფილისში არ გადახველ, აქ სამსახური არ შეგიძლება, სთხოვე, რომ უშოკლად გარდაგიყვანონო. მეც ვითხოვე რამდენჯერმე, მაგრამ პასუხი არ მომსვლია. არ ვიცი, არ გაგზავნეს აქედგან უფროსებმა ტფილისს ჩემი თხოვნები, თუ იქ წაკითხვა ეზარებათ.

თუ ასე არ იყო!, იმისთანები გადაჰყავთ აქედგან, რომელთაც არ უნდათ აქაურობის თავის დანებება და მე რადა უბედური შევიქენი?

ერთი-ორ ქალაქშიაც ჩავედი, მინდოდა მენახა უფროსები და მომეხსენებინა ჩემი გაჭირება, მაგრამ სადამსახურად არ მიმიღეს—„არა გვცალიაო“. მათს თანაშემწეს, ბ-ნს დ—კის მოვახსენე ჩემი მდგომარეობა, მაგრამ იმან გულცივად მითხრა—თუ არ შეგიძლიან სამსახური, მიბრძანდიო. მე ვუპასუხე—თქვე დალოცვილებო, სამსახურის დროს სახლკარი გარდამეწვა, ჯანმრთელობა თქვენს გზაზე დავკარგე და ეხლა სად უნდა წავიდე-მეთქი! მე ხომ არა გთხოვთ მუქთად, უშრომლად მარჩინოთ, მე მხოლოდა გთხოვთ იმისთანა ადგილს მიმსახუროთ, სადაც შემძლოს და სადაც მკურნალები მირჩევენ-მეთქი.

ბევრის ხვეწნის შემდეგ დამპირდა— როგორც გაიხსნება ვაკანსია, ბათუმში გადაგიყვანოო. მაგრამ სად არის! ბათუმში ეხლა სამი ვაკანსიაა, აგრეთვე ტფილისშიაც არის თავისუფალი ადგილი კონდუქტორისა, მაგრამ მე არა მეშველა-რა.

ბოლოს დროს მეთორმეტეჯერ მივეცი თხოვნა: თუ არა გჯერათ, რომ მე აქ სამსახური არ შემიძლიან, გთხოვთ შემამოწმებინოთ მკურნალს, რომელმაც თვითონ აღმიკრძალა მატარებელზე სიარულიმეთქი.

არ იქნა და ამისი პასუხიც არ მომავიდა.

ეხლა არ ვიცი, რა ვქნა და ვის მივმართო. მე ვფიქრობ, იქნება ჩემმა თხოვნებმა ვერ მიაღწიეს უფროსებამდე-მეთქი. თუ ასეა, ამ წერილით მაინც გაიგონ ჩემი უკიდურესი მდგომარეობა და დამიხსნან ასეთის გაჭირებისაგან, მით უმეტეს, რომ გზის სამსახურში დავზიანდი და შემწეობას ხომ არას ვთხოვ, ვახვეწები მხოლოდ, რომ იგივე სამსახური მომცენ ისეთს ადგილსა, სადაც ჰავა ხელს შემიწყობდეს.

ხე—რელი

ხაშური

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ „Новости“-ში დაბეჭდილია ფელეტონად წერილი პროფესორის ვ მოდესტოვისა, რომელიც დიდის გულ-მტკივნეულობით ლაპარაკობს დედათა განათლებაზე.

საკვირველია ჩვენი საქმე!—ამბობს პატივცემული პროფესორი. თავის დღეში ისეთს საქმეს არას დავიწყებთ, რომ წინდაწინვე იმისი ვითარება და ისტორია შევიტყოთ, ვისწავლოთ. ეს არის მიზეზი, რომ დღეს დაწყებული საქმე ხვალ აღარ მოგვწონს.

მიზეზი ის არის, რომ არ გვინდა დავაკვირდეთ საქმეს, ვისწავლოთ იმისი ავი და კარგი, მოვიგონოთ და მოვიფიქროთ, სადა და რომელს ქვეყანაში როგორ რა დაიწყეს და გააკეთეს.

ავიღოთ თუნდა დედათა განათლების საქმე. ეს საქმე დღეს ყველას პირზედ აკერია ჩვენში. დღეს ბევრ ნაირად გვალონებს ის საკითხავი, თუ როგორ გადავწყვიტოთ ასეთი საყურადღებო საგანი.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს საგანი საფრანგეთში სწორედ ასევე აწუხებდა საფრანგეთის ერს, მაგრამ ეხლა-კი არა, ამ ორასის წლის წინად. საფრანგეთის ერი მაშინ იყო ამ საგნის განხილვაში და მაშინვე სძებნიდა ყოველს ღონეს მის გადასაწყვეტად.

თუ არა გჯერათ, რომ ეს ასეაო, განაგრძობს ბ-ნი მოდესტოვი,—აიღეთ და გადაფურცლეთ თხზულება ფენელონისა ამ საგნის თაობაზე. აი ერთი საყურადღებო ადგილი ამ თხზულებიდამ: არ არის ვგონებ არც ერთი სხვა საქმე ისე უყურადღებოდ დატოვებული, როგორც საქმე ქალების აღზრდისა და განათლებისა. უფრო ჩვეულება და აჟინება დედებისა არის ამისი მიზეზი: დედებსა ჰგონიათ, რომ ქალებს მხოლოდ ცოტაოდენი განათლება უნდა მიეცეთ. ყმაწვილების აღზრდა დიდ საზრუნავ საქმედ მიაჩნიათ და დარწმუნებულნი არიან, რომ ყმაწვილებს დიდი ცოდნა და სწავლა ეჭირვებათ. რაიცა შეეხება ქალებს, ჰფიქრობენ, რომ ვითომ სრულიად არ არის საჭირო ნასწავლი ქალები, რომ ცნობის-მოყვარეობის გამო ქალი თავ-ქარიანი და პრანჭია ხდება, რომ სრულიად საკმაოა, თუ ქალი შეიძლებს თავის დროზედ ოჯახის მოვლას და ქმრის მორჩილი ექნებაო. მაგრამ ყოველივე ეს შეცდომაა და მავნებელი შეცდომაცა. თუ ვიტყვით, რომ ქალები სუსტნი არიან, მით უმეტესს საჭიროა მათთვის სწავლა, რომელიც ერთადერთი ღონეა მათის გაძლიერებისათვის. განა მცირე მოვალეობა აწევთ ქალებს ტვირთად? განა ქალისაგან არ წარმოსდგება უბედურება და ბედნიერება ოჯახისა? განა რა სიტკბოების იმედი-ღა უნდა ჰქონდეს კაცს ცხოვრებაში, თუ-კი ქორწინება, ცოლ-ქმრობა ჯოჯოხეთად გადაექცევა?

აი ასე ლაპარაკობდა ქალების აღზრდაზედ სახელოვანი მთავარეპისკოპოსი კამბრეისა ლუდოვიკო მე-XIV დროსვე. ჩვენ-კი დღეს გაგვხდომია ესევე სალაპარაკოდ; დღეს ვამტკიცებთ ფენელონისავით დედათა განათლების საჭიროებას, დღეს ვჩივით იმისავითვე, რომ ქალების აღზრდას და განათლებას ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეული.

---

## წვრილი ამბები

— პრინც ფერდინანდ კობურგისას ვენგრიაში უყიდნია მამული ტაპოლჩანი და მიუცია 1.200.000 მანეთი.

— პარიჟში ახირებული ჩვეულება შემოუღიათ. საფლავზე აკეთებენ თუნუქის ყუთებს ყულაბსავით; ამ ყუთებში გარდაცვალებულთა მოხსენების დროს მისულნი თავის სადარბაზო ბარათებს აგდებენ, რათა გარდაცვალებულთა ოჯახობამ შეიტყოს, ვინა ყოფილა და პატივი უცია ჩვენის საყვარელ მიცვალებულის საფლავზეო.

— საზოგადოდ, ევროპის მცხოვრებელნი ამერიკიდგან მიიღებენ ხოლმე სამკვიდროს; ერთს მშვენიერს დღეს მოუვათ ამბავი, ესა-და-ეს შორეული ნათესავი მოგიკვდათ და ამდენი-და-ამდენი დაგიტოვათო. ეხლა ამის მაგიერ ევროპიდგან ამერიკაში მიაქვთ სამკვიდრო. ბრუკლინის პოლიციის უფროსი ამერიკაში დაეძებს თურმე ამერიკელ ჯონ გიორგ სპანგის, გერმანიაში გარდაცვალებულის, ნათესავებს. სპანგის 60.000.000 მან. დარჩენია სიკვდილს შემდეგ სამკვიდრო. სპანგი დაბადებულა 1752 წელს ჰეიდელბერგში, რეინის ახლო, და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ფილადელფიაში უცხოვრია. ბრძოლის დროს სიკვდილს გადაურჩენია გერმანიის გენერალი კნიპჰაუზენი, რომელიც ინგლისის ჯარში მსახურებდა. ბრძოლის დასრულების შემდეგ გენერალს თან წაუყვანია სპანგი გერმანიაში და 200.000 მან. უჩუქნია. ამ ფულის შემწეობით სპანგს დიდ-ძალი შეძლება შეუძენია. გერმანიაში გადასვლის დროს პენსილვანიაში დაუტოვებია და და ხუთი ძმა, რომელთაგანაც ერთი-ღაა თურმე ეხლა ცოცხალი. თითონ სპანგს შვილები არა ჰყოლია და ამიტომ გერმანიის მთავრობას ამერიკაში დაუწყია მემკვიდრეთა ძებნა. თუმცა სპანგი 1826 წ. გარდაცვლილა, მაინც მემკვიდრეები ეხლა გამოსჩენია ამერიკაში და ამ მემკვიდრეთ უკვე გაუგზავნიათ გერმანიაში სანდო კაცი სამკვიდროს მისაღებად.

— გერმანიის მემკვიდრე პრინცის მდ-

---

წიგნების შეძენის ისტორიასა, ამბობს, თუ რა მდგომარეობაში იპოვა იგინი, ან რა მნიშვნელობა აქვთ ქართულ ლიტერატურაში.

ეს ბიბლიოთეკა დადიანისა 1877—1878 წწ. სამეგრელოში ყოფობის დროს გაუსინჯავს ცაგარელს და უმთავრესნი ხელთ-ნაწერნი გადაუწერია ანუ აღუწერია; მაგალითად, ათონის კატალოგი, წიგნი ქება-ქებათა ათონის ბიბლიის თარგმანისა, ზოგიერთი ადგილები გადულია მე-XVII ს. როსტომიანიდამ, ილიადიდამ და სხ.

მთელს წიგნთ-საცავში ყოფილა 227 წიგნი, რომელთა შორის აღმოჩენილა ძველად დაბეჭდილი წიგნები და დაბეჭდილები მე-XIX ს. პირველ ნახევარში. ნახევარზე მეტი ნაწილი ამ წიგნებისა სასულიერო შინაარსიანი არიანო, დაწყებული მე-X საუკუნედამ, შემდეგ ფილოსოფიურნი, ისტორიულნი, როგორც ორიგინალურნი, ისე თარგმანულნი: ჰეროდოტისა, პლუტარხისა, იოსებ ფლავიანესი და სხ. არიან აგრეთვე ხელოვნებითის ლიტერატურის ნაშთნი: მოთხრობანი, რომანები მე-XI საუკუნედამ, სამართლ-მსაჯულონი, სამკურნალონი, სამხატვრონი და სხ. მრავალი მათგანი დახატულნი არიან მშვენიერ ასოებითა, მოხაზულებითა და სხ. ეს მდიდარი ბიბლიოთეკა სამეგრელოს მთავარმა ნ. დ. დადიანმა 1884 წ. მიუბოძა საქართველოში „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას*) (1884 წ.).

III და IV. ნაშთნი ქართულ მწერლობისა იევრიის მონასტერსა შინა ათონზედ. ეხლა არსებობს ორი კატალოგი ხელთ-ნაწერთა და ძველად დაბეჭდილ წიგნთა, კუთვნილი ამ მონასტრისა: ქართულს ენაზე, შედგენილი მამა ილარიონისაგან ამ მიმავალ საუკუნის დასაწყისს და რუსულზედ, რომელიც შეუდგენია თვით ცაგარელს 1883 წ.

მე-70—80 წწ. მე-X საუკუნისა ქართველნი მონაზონნი, მცხოვრებნი ათონზედ, ლავრასა შინა წმ. ათანასესი და მონასტრებსა შინა წმ. იოანე ნათლი-მცემლისა, წმ. ი. ღვთისმეტყველისა და ბოლოს იევრიის დიდს სავანესა, რომელიც ცნობილია პორტაიტისად და დაარსებულია 982—985 წწ., ბეჯითად ხელი მიჰყვეს ქართულ თარგმანთა და ამ მონასტრების წერილობით ნაშთთა გამრავლებასა. თვით ამ მონაზონთა შრომასა და მათ მოღვაწეობაზე ცაგარელი ლაპარაკობს „ცნობათა“ მეორე განყოფილებაში.

V. კატალოგნი ქართულ ხელ-ნაწერებისა იერუსალიმის და სინას მონასტრებისა შეუდგენია თვით ცაგარელს ადგილობრივად 1883 წელს და სრულიად დაუმზადებია ასაბეჭდავად ამ სათაურით: „ცნობანი ქართულ ნაშთთა სიძველისა წმ. ადგილებში და სინაზედ“.

სინას მთელ ხელთ-ნაწერთა რიცხვი არის 93 და იერუსალიმისა—136, აქ არ ითვლება 7 ხელთ-ნაწერი აზიის მუზეუმისა. ეს უკანასკნელნი 1820 წელს მოტანილ იქმნენ აბალოვისაგან.

ამ ნაირად ბოლო დროს თვით ცაგარელის, ზოგიერთ სხვათა და სამეცნიერო საზოგადოებათა მეცადინეობით ცნობილნი შეიქმნენ 1194 ქართულ მწერლობის ნაშთნი. და თუ ამ რიცხვს მივუმატებთ კიდევ ეპიგრაფიულ და ნუმიზმატიურ ნაშთებსა ლეგენდებითურთ, რომელნიც შეუკრებია ცაგარელს ამ უკანასკნელ 7—8 წ. საქართველოსა, პალესტინასა და ათონზედ და მის მიერვე მოპოვნილთა ბოლგარიიდამ, დაღესტნიდამ და რუსეთის შინაგან გუბერნიებიდამ: ტულიდამ, კიევიდამ და სხვ., მაშინ შედგება ვრცელი რიცხვი ნაშთებისა საქართველოს ძველ მწერლობისა და ამ ნაშთების შემწეობით ქართველთა ლიტერატურის წარსულს, იმის ხასიათს და ზრდას ახალი სხივი ეფინება.

შემდეგ ცაგარელი კითხულობს: „ვიცით ჩვენ ყოველივე, რაც წარსულმა დაგვიტოვა? მოსალოდნელია თუ არა, რომ მომავალი უფრო გაამრავლებს ჩვენ ცნობებს ქართულ მწერლობის წარსულის შესახებ? აღმოჩნდებიან ახალი ნაშთნი, საბუთნი, რომელნიც გაამდიდრებენ ჩვენს ცნობებს ქართულ მწერლობის წარსულის შესახებაო?“

ამ კითხვებზე თვითონვე ავტორი პასუხს იძლევა და ამბობს, რომ თვით პეტერბურგშივე არსებობს მდიდარი კოლექცია ქართულ ხელთ-ნაწერებისა რამდენიმე ასი ცალი, რომელთა სახელნი არც-კი იცის მწერლობამაო. საიდუმლოებით მოცულნი არიან აგრეთვე ხელთ-ნაწერნი მონასტრებისა: მარტვილისა, გარესჯისა, მცხეთისა, გელათისა და სხ. მცირე ნაშთნი არ არიან დაცულნი აგრეთვე ძველ გვარების წიგნთ-საცავებში. ამ ნაირივე ნაშთნი აღმოჩნდებიან რომშიაც, ვენეციასა, გენუასა და სხ. ადგილებში, რადგან საქართველოს ძველ დროითგანვე ჰქონია მისიონერული თუ აღებ-მიცემობითი კავშირი ამ ქალაქებთან. ორი-სამის წლის წინად დ. ზ. ბაქრაძემ აღმოაჩინა ახალი ვარიანტი ქართლის ცხოვრებისა (1636—1646 წწ.), რომელიც უფრო შეავსებს და ამტკიცებს აქამდე არსებულ ქართლის ცხოვრებას ვახტანგ მეფის რედაქციისას მე-XVIII საუკუნისა. და ამას გარდა დამტკიცება არ შეიძლება, რომ პოვნილ ნაშთთა გარდა სინაზე, ათონზე, იერუსალიმს და სხ. კიდევ არ აღმოჩნდეს ახალი ნი. ნაშთ

ყველა მოყვანილ ცნობათა წყალობით ქართულ ლიტერატურას ცაგარელი ჰყოფს ორ ხანად: ძველ ლიტერატურად (V—XII საუკ.) და ახლად (XIII—XVIII საუკ.) პირველი ხანა თავის მხრით იყოფება: მოხამზადებლად (V—IX) და კლასიკურად (X—XIII). მე-XIII საუკუნის პირველ მეოთხედიდამ მოკიდებული მე-XVIII საუკ. პირველ მეოთხედამდე, როდესაც ხელ-ახლა გაიღვიძა ლიტერატურამ, არის ლიტერატურულ და ხელოვნებით შემოქმედობის დაცემის დრო. ესეთი დაცემა ლიტერატურისა გამოწვეულ იქმნა შინაურ და გარეშე უბედურებათაგან, რომელნიც მოევლინა საქართველოს. მაგ., მე-XIII საუკ. მოხდა შემოსევა მონგოლებისა და ხვარაზმელებისა, 1400 წ. შემოსევა თემურლენგისა. ამას გარდა კონსტანტინეპოლის ოსმალებისაგან აღების (XV საუკ.) შემდეგ საქართველო სრულიად განმარტოებულ იქმნა დანაშთენ ქრისტიანულ და კულტურულ ქვეყნებისაგან და გარშემორტყმულ იქმნა მაჰმადიანთაგან. ამ გარემოებამ გამოიწვია განაწილება საქართველოსი სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ და XVII საუკ. დასაწყის წარსულნი სავალალო საუკუნენი დასრულდნენ შაჰ-აბაზის შემოსევით და ქვეყნის რბევით. ასე რომ ეს ოთხი წამებითი საუკუნე (XIII—XVI), რომელთა შედეგი იყო შესუსტება საქართველოს პოლიტიკურის ძალისა და კულტურისა, გაჰყოფენ ძველს, კლასსიკურ ხანას (X—XII სს.) ქართულ ლიტერატურისას ახალის ხანისაგან ლიტერატურის გაღვიძებისა (XVII—XVIII სს.).

ე—მ

(შემდეგი იქნება)

*) თავადის სამეგრელოს ბიბლიოთეკის განხილვა ხსენებულ საზოგადოების მმართველობამ მიანდო დ. ზ. ბაქრაძეს, რომელმაც ფრიად შესანიშნავი წიგნები ჰპოვა მასში.

ე—მ

რიდში ყოფნის დროს განსვენებულ მეფე ალფონსს სასახლის ბალი გაუმართავს დიდებულის სტუმრის პატივ-საცემად. მარკიზა ლე-სარიეს, რომელიც მაშინ ჯერ ისევ გაუთხოვარი ყოფილა, უთხოვნია პრინცესასათვის, ჩემთან იცეკვეო. პრინცეს უპასუხნია: ჩემის პაპის ხარისხიც რომ ნებას მაძლევდეს, თქვენს მშვენიერს სიტყვას დავყვე, სხვა გარემოებანი ხელს მემიშლიდნენ. სახელდობრ, მე ისეთის ნაზის აგებულებისა გახლავართ, თითქო რომელიმე პრიმადონა ვიყოვო, მოვალე თუ არა ხოლმე ცოტა გადაჭარბებით გრძნობაზე, მაშინვე უანგარიშო ამტკივა. ვერა, მე ვერასოდეს ვერ შევიძლებ ისეთის მამაცის ხმით წარვუძღვე და ვუსარდლო ჯარსა, როგორც ჩემმა დიდებულმა მშობელმა იცის ხოლმე. ხმა სწორედ მაშინ მიღალატებს, როცა უფრო განსაკუთრებით საჭიროა. ისეთი უბედური სნეულება მჭირს, რომ ცეკვის დროს ვერ შევიძლებ და ვერ ჩავწვდები, თუ რა მშვენიერი და თავ-ბრუს დამხვევი სილამაზე გაქვთ“.

— სარა ბერნარს ამას წინად ახლო მეგობრები მიუწვევია და წაუკითხავს თავის მიერ დაწერილი ერთ-მოქმედებიანი პიესა. ეს პიესა „ოდეონის“ თეატრის დირექციას უკვე მიუღია წარმოსადგენად. ერთის გაზეთის სიტყვით, ამ პიესაში გამოყვანილია გენერალი, ცოლი გენერლისა და ცოლის დის-წული, უმაწვილი აკვანში, მოსამსახურე დედაკაცი და ძველი მოსამსახურე დედაკაცივე. დის-წული მშვენიერი ქალია, ჭკვიანია თავისი დეიდა და დეიდას, გენერალის ცოლს, ამ სიყვარულის ნაყოფად უმაწვილი ჰყოლია, რომელიც აკვანში უწევთ; ხოლო შემდეგში გენერლის ცოლს საშინლად გული აუცრია დის-წულზე, შესძაგებია და შვილი-კი მეტის-მეტად უყვარს. ფარდის ახდის დროს სცენაზედ ავადმყოფი უმაწვილი წევს და მოსამსახურე და მოსამსახურე თავს ევლებიან. დედა ტირის. ერთად-ერთი ექიმი, რომელსაც უმაწვილის გასაღება და სიკვდილისაგან გადარჩენა შეუძლიან, ეს დის-წულია უმაწვილის დედისა და მამა უმაწვილისა. გენერალს უმაწვილი თავისი ჰგონია და სთხოვს ცოლსა, რომ შენი დის-წული მოვიწვიოთ ექიმადაო, ხოლო ცოლს აღთქმა დაუდვია, თვალითაც არასოდეს არ დავინახოვო, და ქმრის სიტყვებზე დიდს უარზეა. თითონ ექიმი ერიდება იმათს სახლსა. გენერალს ეჭვი უდგიმდება და ცოლი-კი მზად არის თავის აღთქმას უღალატოს უმაწვილის სიცოცხლისათვის, ხოლო აღთქმის გატეხა მეტია, რადგან ამ დროს უმაწვილი სულსა ლევს და ამ ქვეყანას ეთხოვება.

— ვენეციის მოლიბრანის თეატრში შემდეგი სასაცილო ამბავი მომხდარა, როცა ლორენ ზოტტის პიესა „ნატალინი“ წარმოუდგენიათ. მესამე მოქმედების დროს სცენაზე მოახლე მკირფასს ნივთეულობას იპარავს და ისე ხერხიანად მართლულობს თავსა, რომ სახლის პატრონს აჯერებს, მე მაგ საქმეში უბრალო ვარო. უეცრად მეორე ქანდარიდგან წამომდგარა ერთი ხანში შესული დედაკაცი და მაღალის ხმით დაუძახნია: „ნუ ერწმუნებით, ნუ, ნუ დაუჯერებთ, მაგ უსირცხვილოსა, მაგასა. მაგან მოიპარა თქვენ რომ ძვირფასი ნივთეულობა დაჰკარგეთ, სწორედ მაგან. მე ჩემას საკუთარის თვალითა გნახე, თვალები არ დამიბრმავდება, და თუნდა დავიფიცავ კიდეცა!“ საზოგადოებას ხმა-მაღლად დაუწყვია სიცილი და ხარხარი.

# დეპეშა

17 ნოემბერი

პეტერბურგი. ფლოტში მოსამსახურე მიჩმანებს ჩერნევსკის, ბობროვსკის, ხლოდოვსკისა, დოლივო-დობროვოლსკის და შელგუნოვს, რომლებიც ზოგიერთა სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად მიცემულ იყვნენ პასუხის-გებაში მე-250 კანონის მუხლის ძალით, სასამართლომ მიუსაჯა შემდეგი: შელგუნოვს და ჩერნევსკის კატორგა, პირველს რვა წლითა და მეორეს ექვსის წლითა; ბობროვსკის, ხლოდოვსკის და დოლივო-დობროვოლსკის გაგზავნა საცხოვრებლად ციმბირის არა-შორეულს ადგილებში.

ხელმწიფე იმპერატორმა სასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად კანონიერად იცნო, მაგრამ რადგანაც ბრალდებულნი მცირეწლოვანნი არიან და სხვა ბოროტ-გამზრახველებს ჩაურევიათ დანაშაულობაში და იმიტომაც, რომ ამ დამნაშავეთა გულ-წრფელად განაცხადეს, ჩვენს დანაშაულობას შევისყიდით შემდეგშიო, შეუცვალა ბრალდებულთ სასჯელი ამ რიგად: შელგუნოვი და ჩერნევსკი, ვითარცა მომეტებულად დამნაშავენი, ჩარიცხულ უნდა იქმნან უბრალო ჯარის-კაცებად ექვსის წლის ვადით იმ პირობით, რომ უნტერ-ოფიცრობა არ მისცენ სამს წლამდე და ოფიცრობა-კი ექვს წლამდე, თუ რომ ომში არ დაიმსახურებენ ამ ხარისხს; ხლოდოვსკი და ბობროვსკი უნდა ჩარიცხონ მატროსებად, ისე რომ უნტერ-ოფიცრობა არ მიეცეთ ორის წლის და ოფიცრობა—სამის წლის განმავლობაში; დოლივო-დობროვოლსკის სასჯელად უნდა ჩაერიცხოს დიდის ხნის ყოფნა სატუსაღოში, აგრეთვე უნდა ჩამოერთვას უფლება, რომელსაც სწავლა იძლევა, და უნდა დაინიშნოს სამსახურში ზღვათა სამინისტროს განკარგულებით ისე, რომ მთავრობამ თვალ-ყური ადევნოს. ამავე წესით გასამართლებულ პოდპორუჩიკებს: მაუერს, აკსენტოვიჩს, შეიდევანტს, სიმაშკოს, კუჩინს, ბრუევიჩს, გალიჩენკოს, შირინკინს, ისტამშევიჩს, ბეკლემიშოვს, დოლგოვს, ივანოვს და შლიახტინს მიესაჯა კატორგაში გაგზავნა: აკსენტოვიჩს— რვა წლით, ბრუევიჩს— ექვსის წლითა და რვა თთვითა, ივანოვს—ექვსის წლითა, მაუერს —ხუთის წლითა და ოთხის თთვითა, ისტამშევიჩს—ოთხის წლითა; სხვებს-კი მიესაჯა ციმბირში გაგზავნა საცხოვრებლად. იმავე მიზეზების გამო, როგორც მიჩმანებს, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, რომ ამათაც შეეცვალოს სასჯელი ამ რიგად: ბრუევიჩი, მაუერი, აკსენტოვიჩი და ივანოვი ჩაირიცხონ ჯარის-კაცებად იმავე წესით, რა წესითაც ჩარიცხეს მიჩმანები; სხვებიც იმავე წესით უნდა დაისაჯონ, გარდა შეიდევანტისა და დოლგოვისა, რომელნიც უნდა ჩაირიცხონ ჯარის-კაცებად ჩვეულებრივის წესით ისე, რომ უნტერ-ოფიცრობა არ მიეცეთ ერთს წლამდე.

გენერალ-მაიორი გოლენიშჩევ კუტუზოვი, რომელიც დღემდის იმპერატორის ვილჰელმის კარზე მსახურებდა, ჩაურიცხავთ მის უდიდებულესობის ამალაში.

როგორც გაზეთი „Новости“ იუწყება, განკარგულება მოუხდენიათ იმის თაობაზე, რომ სოფლის მოხელეები და სოფლის საზოგადოებანი არ ერეოდნენ საეკკლესიო საქმეებში.

გაზეთები იუწყებიან, რომ იმისათვის, რათა კიდევ მეტი შემოსავალი მიეცეს ხაზინას სასმელების ბაჟისაგან, განზრახვა აქვთ ერთსა და ერთს კაპეიკ ნახევარზე ასწიონ ადგილ-ადგილ აქციზი არაყსა და სპირტზე. ბაჟის ამ ნაირი აწევა ხაზინას შეჰმატებს 5 მილიონსაო.

ხარკოვი. ავილოვს, რომელსაც ბრალდებოდა ბოროტ-მოქმედება ორიოლის ბანკში, ჩაუდენია სიყალბე სამსახურის დროს, აგრეთვე ვექსილები მოუტაცნია და ფულები დაუჩემებია. დირექტორის ამხანაგებს ბრალდება უზრუნველობა. პალატის განაჩენი გამოცხადებული იქნება 20-ს ნოემბერს. პოცკოვსკი და მასინი გაამართლეს.

პარიჟი. რესპუბლიკელთა დასები ჯერ არ შეთანხმებულან იმის თაობაზე, თუ ვინ გამოაცხადონ პრეზიდენტის კანდიდატად. კანდიდატებად ითვლებიან ფრეისინე, ფლოკე და ფერრი.

პარიჟი. სამუნიციპალო რჩევა საპრეზიდენტო კრიზისის გამო იმ აზრისაა, რომ საჭიროა შესაფერი ცვლილება შემოიღონ კონსტიტუციაში.

დერულედი მოქმედებს თანახმად ერთის გენერალ-კომუნარისა, რომელსაც სურს სარევოლიუციო კავშირი დაადგინოს.

მარსელში რადიკალურ დასთა წარმომადგენელთ შეუდგენიათ ზედამხედველი კომიტეტი.

18 ნოემბერი

პეტერბურგი. გაზეთი „Новости“ იუწყება, რომ კანონ-პროექტი სახელმწიფო საადგილ-მამულო გარდასახადის თაობაზე უკვე შეუტანიათ სახელმწიფო საბჭოში. ეს ახალი გარდასახადი განსხვავდება ძველისაგან 2—5 კაპეიკით თითო „დესიატინაზე“ გუბერნიის მიხედვით.

იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ პროექტი კერძო მემამულეთა ტყეების დაზოგვისა და შენახვის თაობაზე დაუმტკიცებია სახელმწიფო საბჭოს და ძალაში შევა პირველ იანვრიდგან.

გაზეთი „Биржевыя Вѣдомости“ გვარწმუნებს, რომ თამბაქოზე მონოპოლიის შემოღება უარ-უყვიათ, რადგანაც სხვა-და-სხვა დაბრკოლება აღმოჩნდა.

ბელგრადი. სერბიის ელჩად პეტერბურგში დანიშნულია ზიმიჩი.

პარიჟი. შესაძლოა გრევი დარჩეს თავის ადგილზე. გუშინდელს ყრილობაზე მოურიგებელთა და რადიკალთა დასებმა დაადგინეს, რომ საჭიროა გრევი დარჩეს პრეზიდენტად და ამ ნაირად მოისპოს საპრეზიდენტო კრიზისი, იმ პირობით-კი, რომ გრევიმ უარი განაცხადოს დეპუტატის უფლებაზე. განსაკუთრებით ბეჯითად ამ აზრს როშფორი ადგია. კლემანსო მზად არის შეადგინოს ახალი კაბინეთი, თუ რომ გრევი მოხსენებულის პირობით დარჩება პრეზიდენტად. დეპუტატთა პალატის შესავალში არიგებდნენ ბროშიურას, რომელშიაც გატარებულია ის აზრი, რომ გრევის სამსახურიდგან გამოსვლა სასურველი არ არისო.

პეტერბურგის ბირჟა, 17-ს ნოემბერს.

ფასები:

| | მყიდვე-ლნი | გამყიდ-ველნი | გარიგე-ბული |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 2 |
| ტამოჟნის კუპონები. . | — » | — » | 180¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული. . . . . . . | — » | — » | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი. . . . . . | — » | — » | 278 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 247 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — » | — » | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

**19 დღე ხუთშაბათი.** წ. ნ. - მეტყ. ავდიასი, ლირსისა ვაკლამისა, იოასეფისა და წმ. ილარიონისა. კათოლ. წმ. დედოფალ ელისაბედისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—7, ჩადის 4—31. მთვარე 17 დღისაა.

**20 დღე პარასკევი** ღ. რსისა გრიგოლისა. კათოლ. წმ. ალისაარ. ფელიქს ვალისელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 4—30. მთვარე 18 დღისაა.

**21 დღე შაბათი.** ტაძრად მიყვანა წმ. ღვთის-მშობლისა მარიამისა. ესევე ფრანგთა და სომეხთათვისაც. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—9, ჩადის 4—30. მთვარე 19 დღისაა.

**22 დღე კვირა.** წმ. ფილიმონ მოციქულისა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ცეცილიასი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—10, ჩადის 4—30. მთვარე 20 დღისაა.

**23 დღე ორშაბათი.** წმ. ეპისკ. ამფილოქესი. კათოლ. წმ.-მოწ. პაპა კლიმენტისა. სომეხ. წმ. ქალწ. იულიანასი და ვასილიასი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წესდება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, 1871 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 4—30. მთვარე 21 დღისაა.

**24 დღე სამშაბათი.** დიდის ქალწ.-მოწ. ეკატერინასა და ავგუსტასი დედოფ. კათოლ. წმ. იოანასი. სომეხ. წმ. ლუკიანე მღვდელისა და სხვათა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 7—12, ჩადის 4—30. მთვარე 22 დღისაა.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით | 10 მ. — კ. | 6 | თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 | „ | 9 „ 50 » | 5 | „ | 5 „ 25 » |
| 10 | „ | 8 „ 75 » | 4 | „ | 4 „ 75 » |
| 9 | „ | 8 „ — » | 3 | „ | 3 „ 50 » |
| 8 | „ | 7 „ 25 » | 2 | „ | 2 „ 75 » |
| 7 | „ | 6 „ 50 » | 1 | „ | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდი და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.


Доз. цен. Тиф. 18 ноября 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.